საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-698

23/07/2019

ქ. თბილისი

მესტიის მუნიციპალიტეტში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ „500/220/110 კვ ძაბვის ქვესადგური „ნენსკრას“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე“ სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის 3.4 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს მესტიის მუნიციპალიტეტში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ „500/220/110 კვ ძაბვის ქვესადგური „ნენსკრას“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე“ სკოპინგის დასკვნა N69 (16.07.2019წ.);
2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N69 (16.07.2019წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და მესტიის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი